



08.02.2013

მსჯელობა ხუდონზე, ამჯერად ხაიშელების გარეშე



შეუერთდი განხილვას

დღეს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შესახებ მსჯელობას ხაიშელები არ ესწრებოდნენ.

ინვესტორმა კომპანიამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა კიდევ ერთხელ იმსჯელეს საქართველოში სიდიდით მეორე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. თბილისში, სასტუმრო 'რედისონ ბლუ ივერიაში' გამართულ შეხვედრაზე კი ხაიშელებმა ჩამოსვლა ვერ მოახერხეს. როენა ჭკადუამ, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულმა ხაიშის ტერიტორიულ ორგანოში, აღიშნა, რომ ცუდი ამინდის გამო, მოსახლეობა შინ დარჩა.

"ყველა სოფელს შევატყობინე", - აღნიშნა მან. - „ისინი კვლევის დასრულებას ელოდებიან“.

კვლევა ხაიშიდან გადასახლების გეგმას ეხება. განსახლების გეგმის ფარგლებში, ჯერ მათი ქონება: სახლი და მიწა უნდა შეფასდეს. შესაბამისად დადგინდება კომპენსაციის ოდენობაც. ინვესტორის თქმით, 260 ოჯახის განსახლება იგეგმება. დაიტბორება სოფელი ხაიში, იქაური სასაფლაოები და ეკლესია.

რა ეკონომიკური სარგებელი ექნება ახალ ჰესს? გადაწონის თუ არა ეს ასობით ადამიანის საცხოვრებელი ადგილის დატოვებას? საექსპორტო უნდა იყოს ენერჯია თუ შიდა მოხმარებისთვის? ეს კითხვები გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰქონდათ.

მათ კითხვაზე მარიამ ვალიშვილმა, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველმა მოადგილემ, უპასუხა.

[video:<http://www.youtube.com/watch?v=Y5RoxjYQbXg>]


შეხვედრაზე ერთმა ხაიშელმა დასვა კითხვა. როგორც თავად აღნიშნა, ის საკუთარი ხარჯებით, რამდენიმე დღით ადრე, ჩამოვიდა.

„სოლიდარობას არ ვგრძნობ თქვენი მხრიდან,“ - მიმართა მან დარბაზში მსხდომებს. - „მე ვერ ვგრძნობ, რომ თქვენ გტკივათ. ჩვენ იქ ჩვენს სამვალეებს ვტოვებთ, ყველა კი ვერ გადაასვენებს თავის მიცვალებულს.“

[video:<http://www.youtube.com/watch?v=9Z1bo5QRuJ4>]

მის სიტყვებს დარბაზის ტაში მოჰყვა.

მომავალი მსჯელობა ხუდონის ჰესზე 2012 წლის მარტში შედგება - მაშინ, როცა ინვესტორი პროექტის გარემოზე ზემოქმედებას სრულად შეაფასებს.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli ([Change](#))

[Comment](#)

Facebook social plugin